ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში - 2015-2018 წლების პრაქტიკა

მაისი, 2019

სარჩევი

ძირითადი მიგნებები....3

შესავალი 4

სტატისტიკის დამუშავების სამართლებრივი საფუძველი 5

საქმეთა განხილვის საპროცესო ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში....7

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლეების მიერ საქმეთა განხილვის საპროცესო ვადების დაცვა 10

გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში....12

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილებების მომზადების ვადების დაცვა 15

დასკვნა 17

ძირითადი მიგნებები

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“ თავისი შინაარსით უმეტესად ორიენტირებულია მთლიანად სასამართლო სისტემაზე და არა ცალკეულ მოსამართლეზე. შესაბამისად, იკვეთება ორი განსხვავებული პროცესის - სასამართლო სისტემის ხარისხის შეფასებისა და ინდივიდუალური მოსამართლეების პროფესიული შეფასების აღრევა.
- მოსამართლეთა შეფასების მოქმედი წესი არაეფექტურია როგორც ინდივიდუალური მოსამართლის საქმიანობის, ასევე მთლიანად სასამართლო სისტემის შეფასებისა და მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მიზნებისთვის.
- შეფასების წესით გათვალისწინებული სტატისტიკური მონაცემები არ იძლევა სრულყოფილ სურათს სასამართლოს დატვირთულობისა და სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ.
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ აქვს დამტკიცებული თითოეულ სასამართლოში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის წესი და მეთოდოლოგია, რაც მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს.
- თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით, 51 561 დასრულებული სამოქალაქო საქმიდან საქმის განხილვის საპროცესო ვადები 4 660 საქმეზე დაირღვა.
- თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით, 15 451 დასრულებული ადმინისტრაციული საქმიდან საქმის განხილვის საპროცესო ვადები 5 601 საქმეზე დაირღვა.
- თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით, გადაწყვეტილებების მომზადების ვადები ძირითადად ადმინისტრაციულ საქმეებზე დაირღვა.
- თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით, 15 349 ადმინისტრაციული საქმიდან გადაწყვეტილების მომზადების ვადები 4 123 საქმეზე დაირღვა.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული სტატისტიკა არ მოიცავს ინფორმაციას საქმეთა განხილვის გაჭიანურების ხანგრძლივობის შესახებ, შესაბამისად, უცნობია, წარმოადგენს თუ არა ვადის გადაცილება იმგვარ დარღვევას, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფის რისკს წარმოშობს.
- საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ საქმეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი და სისტემა არ ითვალისწინებს საქმის წონას და სირთულეს. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ მოსამართლეთა შორის საქმეები წონის მიხედვით არ იყოს თანაბრად განაწილებული, რაც მათ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

შესავალი

საქართველოს საერთო სასამართლოების გადატვირთულობა წლებია მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. საქმის განხილვის გაჭიანურება გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების - სამართლიანი სასამართლოს უფლების - ხელყოფის რისკებს წარმოშობს. გარდა ამისა, საქმეთა სიჭარბემ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხსა და მათ დასაბუთებულობაზე.

ბოლო კვლევის თანახმად, საქართველოს სჭირდება 410 მოსამართლე[1], რაც ბევრად აღემატება საერთო სასამართლოებში მოსამართლეების ამჟამინდელ რაოდენობას (დაახლოებით 310). იმავე კვლევის თანახმად, დატვირთულობის ამჟამინდელი მაჩვენებლების გათვალისწინებით, 410 მოსამართლის შემთხვევაშიც კი საქართველოს სასამართლოებს მაღალი დატვირთულობა ექნებათ იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც სასამართლო სისტემები კარგად მუშაობს.

წინამდებარე კვლევის მიზანია აჩვენოს მოსამართლეთა მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა/დარღვევა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც ქვეყანაში ყველაზე დატვირთული სასამართლოა.

ინფორმაციის მიღების მიზნით, IDFI-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სასამართლოში შესული იმ საქმეების რაოდენობა, რომელთა განხილვა არ დაწყებულა, ასევე იმ საქმეების რაოდენობა, რომელზეც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეს არ ჩაბარებია. თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული ინფორმაცია არ გასცა იმ საფუძვლით, რომ მოთხოვნილი სახის ინფორმაციის სტატისტიკური აღრიცხვა, დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება არ ხორციელდებოდა.[2]

ამის შემდეგ, IDFI-მ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა და მოითხოვა „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის“ მე-2 მუხლის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოდან 2015 წლიდან დღემდე მიღებული სტატისტიკური მასალები, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს თითოეული მოსამართლის მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა და მონაცემები საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვის თაობაზე. საბჭომ აღნიშნული ინფორმაცია არ გასცა იმ საფუძვლით, რომ განცხადების წარდგენის პერიოდისთვის ამგვარ სტატისტიკას არ აწარმოებდა.[3]

IDFI-მ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის ბათილად ცნობა და მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა იმ საფუძვლით, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარი არღვევდა საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებას. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სრულად

---

[1] საქართველოში მოსამართლეების საჭირო რაოდენობის შეფასება, 2018, ხელმისაწვდომია: http://ewmi-prolog.org/images/files/4319Assessmentoftheneedforjudgesin Georgia-GEO.pdf

[2] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 11 დეკემბრის N3-04130/2754711 წერილი.

[3] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N2347/3489-03-ო წერილი.

დააკმაყოფილა[4] IDFI-ს საჩივარი და გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია, თუმცა უარი განაცხადა იმავე ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ინფორმაციის მიღების ფორმის არჩევის უფლებას.[5] ელექტრონული ფორმით ინფორმაციის გაცემაზე უარმა მნიშვნელოვნად გაართულა სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება.

წინამდებარე კვლევა მიზნად არ ისახავს სასამართლოს გადატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების პრობლემის გადაჭრის მიზნით კონკრეტული რეკომენდაციებისა და ერთიანი ხედვის შეთავაზებას, რადგან აღნიშნული მოითხოვს სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის კომპლექსურ შესწავლასა და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების დეტალურ ანალიზს.

სტატისტიკის დამუშავების სამართლებრივი საფუძველი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სტატისტიკის დამუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მის მიერ 2011 წლის 27 დეკემბრის N1/226 გადაწყვეტილებით[6] დამტკიცებული „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“ (შემდგომ - „შეფასების წესი“). უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონი არაფერს ამბობს მოსამართლეთა საქმიანობის ეფექტურობის პერიოდულ შეფასებაზე, შესაბამისად, საბჭოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას საკანონმდებლო საფუძველი[7] არ გააჩნია, რაც მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს.

მოქმედი შეფასების წესი შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

ა) განხილულ საქმეთა კოეფიციენტების რაოდენობა;
ბ) დასრულებულ საქმეთა სირთულე;
გ) საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა;
დ) გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა;
ე) გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა.

---

[4] https://idfi.ge/ge/idfi_vs_high_council_of_justice

[5] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლი.

[6] http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/226-2011.pdf

[7] კიევის რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ ძირითად კრიტერიუმებს უნდა ადგენდეს კანონი. დეტალური კრიტერიუმები, რომლებიც პერიოდული შეფასებისას გამოიყენება, უნდა დადგინდეს კანონქვემდებარე აქტით, რომელიც ასევე უნდა ადგენდეს შეფასების ჩატარების ვადებსა და მექანიზმებს. კიევის რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (2010), § 29.
ფორმალური შეფასების არსებობისას, შეფასების პროცედურის ძირითადი ნორმების საკანონმდებლო დონეზე რეგულირების აუცილებლობაზე საუბრობს ასევე მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელი. European Network of Councils for the Judiciary (ENCJ), Development of Minimal Judicial Standards III, Minimum standards regarding evaluation of professional performace and irremovability of members of the judiciary, Report 2012-2013, §4.17.

შეფასების კომპონენტები ფასდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ერთიანდება საერთო შეფასებაში. შეფასებას საერთო სასამართლოებიდან მიღებული სტატისტიკური მასალების განზოგადების მეშვეობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს ყოველ 6 თვეში ერთხელ. შეფასებას ექვემდებარებიან პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეები.

საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ შეფასების წესი თავისი შინაარსით უმეტესად ორიენტირებულია მთლიანად სასამართლო სისტემაზე და არა ცალკეულ მოსამართლეზე. ამ შემთხვევაში იკვეთება ორი განსხვავებული პროცესის - სასამართლო სისტემის ხარისხის შეფასებისა და ინდივიდუალური მოსამართლეების პროფესიული შეფასების აღრევა.

საქართველოში დღეს მოქმედი შეფასების სისტემა ძირითადად რაოდენობრივ კრიტერიუმებს ემყარება, რაც ინდივიდუალური მოსამართლის საქმიანობის შეფასების მიზნებისთვის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს.[8] როდესაც საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის შეფასება ემსახურება სასამართლო სისტემის გაუმჯობესებასა და მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მიზანს, ის ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მისაღები საშუალებაა, მაგრამ როდესაც ვადების დაცვის მაჩვენებლით ხდება მოსამართლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასება, ასეთ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სხვა ობიექტური გარემოებებიც.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად, მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით.[9] თუმცა, მოქმედი შეფასების წესი ითვალისწინებს მხოლოდ სტატისტიკური მასალების განზოგადებას, შესაბამისად, ბუნდოვანია დამატებით რა ინფორმაცია მიიღება მხედველობაში და რა პროცედურით ხდება ობიექტური ფაქტორების შეფასება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ვენეციის კომისიის მოსაზრება სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებით: ზოგადად, ძირითადად რიცხობრივ მაჩვენებელზე დაფუძნებულ სისტემას შეუძლია საზიანო შედეგები გამოიწვიოს: მაგალითად, სტატისტიკა გამოიყურება გაცილებით უკეთ, როდესაც მოსამართლე დიდი რაოდენობით საქმეს განიხილავს პროცედურული ვადების დაცვით და მხოლოდ რამდენიმე საქმეში არის ვადის დარღვევა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მოსამართლემ შესაძლოა გადადოს რამდენიმე განსაკუთრებით რთული საქმე, სადაც ვერ უზრუნველყოფს პროცედურული ვადების დაცვას, რათა განხილულ საქმეთა უმრავლესობაში

[8] ვენეციის კომისიის თანახმად, რაოდენობრივთან შედარებით ხარისხობრივი კრიტერიუმებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რადგან ხარისხობრივი კრიტერიუმები შეეხება პირის ცოდნასა და პიროვნულ უნარებს. CDL-AD(2014)007, Joint opinion on the draft law amending and supplementing the judicial code (evaluation system for judges) of Armenia, §§ 77-78.

[9] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 19 მარტის წერილი N486-03-ო.

ვადები იყოს დაცული. შედეგად, არახელსაყრელ მდოგმარეობაში აღმოჩნდებიან ის მხარეები, რომლებიც კომპლექსურ და სავარაუდოდ, ყველაზე სერიოზულ საქმეში არიან ჩართული[10].

მოსამართლეთა შეფასების მოქმედი წესი არაეფექტურია როგორც ინდივიდუალური მოსამართლის საქმიანობის, ასევე მთლიანად სასამართლო სისტემის შეფასების მიზნებისთვის, რადგან შეფასების წესით გათვალისწინებული სტატისტიკური მონაცემები არ იძლევა სრულყოფილ სურათს სასამართლოს დატვირთულობისა და სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამასთან, საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის მიზანს არ წარმოადგენს თითოეულ სასამართლოში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრა, რაც ასევე მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს.

საქმეთა განხილვის საპროცესო ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის[11] დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2015 წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის საპროცესო ვადები სამოქალაქო საქმეებთან შედარებით უფრო მეტად დაირღვა. ადმინისტრაციულ საქმეებზე საპროცესო ვადის დარღვევის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი 2016 წელს დაფიქსირდა (43.3%)[12], ხოლო სამოქალაქო საქმეებზე - 2017 წელს (14.1%).

2015 წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით, იმ დასრულებული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი, რომელშიც საპროცესო ვადის დარღვევა დაფიქსირდა, მოცემულია დიაგრამაზე:



[10] CDL-AD(2015)042, Opinion on the laws on disciplinary liability and evaluation of judges of the former Yugoslav Republic of Macedonia.

[11] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 19 მარტის წერილი N486-03-ო.

[12] კვლევაში პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებულია მეათედებამდე.

საერთო ჯამში, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით, 51 561 დასრულებული სამოქალაქო საქმიდან საპროცესო ვადები 4 660 საქმეზე დაირღვა (9%). იმავე პერიოდში 15 451 დასრულებული ადმინისტრაციული საქმიდან საპროცესო ვადები 5 601 საქმეზე დაირღვა (36.3%).

დასრულებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საპროცესო ვადების დაცვისა და დარღვევის შესახებ ინფორმაცია თითოეული წლის მიხედვით მოცემულია დიაგრამებზე:









აღნიშნული სტატისტიკა არ მოიცავს ინფორმაციას საქმეთა განხილვის გაჭიანურების ხანგრძლივობის შესახებ, შესაბამისად, უცნობია, წარმოადგენს თუ არა ვადის გადაცილება იმგვარ დარღვევას, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფის რისკს წარმოშობს. გარდა ამისა, შეუძლებელია დადგინდეს, რამდენად იყო საპროცესო ვადის დარღვევა ობიექტური გარემოებით (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე, მხარეთა მოქმედებები და სხვა) განპირობებული და იკვეთება თუ არა მოსამართლის ბრალეულობა.

დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა, რომლის ერთ-ერთ მიზანს მოსამართლეთა შორის საქმეთა შეძლებისდაგვარად თანაბრად განაწილება წარმოადგენს, არ ითვალისწინებს საქმის წონის სამართლიან და ობიექტურ პრინციპს. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეები განსხვავდება სირთულის მიხედვით, საქმის განხილვისთვის საჭირო საშუალო დრო და საქმის წონა ასევე განსხვავებულია. მოქმედი წესის თანახმად, ელექტრონული განაწილებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ საქმეთა რაოდენობრივი

მაჩვენებელი.[13] შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ მოსამართლეთა შორის საქმეები წონის მიხედვით არ იყოს თანაბრად განაწილებული, რაც მათ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლეების მიერ საქმეთა განხილვის საპროცესო ვადების დაცვა

IDFI დაინტერესდა, რამდენად იცავენ საქმის განხილვის ვადებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ის მოსამართლეები, რომლებიც ამავდროულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები არიან.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის - გიორგი მიქაუტაძის მიერ 2015-2017 წლებში საქმეთა განხილვის საპროცესო ვადის დაცვით/დარღვევით დასრულებულ საქმეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დიაგრამაზე:



იუსტიცის უმაღლესი საბჭოდან მიღებული სტატისტიკური მონაცემები არ მოიცავს ინფორმაციას გიორგი მიქაუტაძის მიერ 2018 წლის პირველ ნახევარში ვადის დაცვით/დარღვევით დასრულებულ საქმეთა რაოდენობის შესახებ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის - თამარ ონიანის მიერ 2015 წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით საქმეთა განხილვის საპროცესო ვადის დაცვით/დარღვევით დასრულებულ საქმეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დიაგრამაზე:

[13] „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება, 2019. გვ. 23-25. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/IDFI_2019/rule_of_law/GEO_WEB.pdf



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის - სერგო მეთოფიშვილის მიერ 2016[14] წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით საქმეთა განხილვის საპროცესო ვადის დაცვით/დარღვევით დასრულებულ საქმეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დიაგრამაზე:

[14] სერგო მეთოფიშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნა 2016 წლის თებერვლიდან.



იუსტიცის უმაღლესი საბჭოდან მიღებული სტატისტიკური მონაცემები არ მოიცავს ინფორმაციას ვასილ მშვენიერაძის[15] (თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი) მიერ საქმის განხილვის ვადების დაცვის თაობაზე.

გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის[16] დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ გადაწყვეტილებების მომზადების ვადა ძირითადად ადმინისტრაციულ საქმეებზე ირღვევა. ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილების მომზადების ვადის დარღვევის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი 2016 წელს დაფიქსირდა (55.4%).

2015 წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით, იმ საქმეების პროცენტული მაჩვენებელი, რომელშიც გადაწყვეტილების მომზადების ვადის დარღვევა დაფიქსირდა, მოცემულია დიაგრამაზე:

[15] ვასილ მშვენიერაძე თბილისის საქალაქო სასამრთლოს მოსამართლედ დაინიშნა 2017 წლის მაისიდან.
[16] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 19 მარტის წერილი N486-03-ო.



საერთო ჯამში, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით, გადაწყვეტილების მომზადების ვადები 29 900 სამოქალაქო საქმიდან 15 საქმეზე დაირღვა (0.05%), 15 349 ადმინისტრაციული საქმიდან 4123 საქმეზე დაირღვა (26.9%) და 13 584 სისხლის სამართლის საქმიდან 29 საქმეზე დაირღვა (0.2%).

სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვისა და დარღვევის შესახებ ინფორმაცია თითოეული წლის მიხედვით მოცემულია დიაგრამებზე:


2015 წელს გადაწყვეტილებების მომზადების ვადის დაცვა
14000
12000
10000
8000
6000
4000
2000
0
11765
1
5648
363
5075
21
სამოქალაქო საქმეები
ადმინისტრაციული საქმეები
სისხლის სამართლის საქმეები
ვადის დაცვით
ვადის დარღვევით


2016 წელს გადაწყვეტილებების მომზადების ვადის დაცვა
4000
3500
3000
2500
2000
1500
1000
500
0
3722
14
983
1223
3158
8
სამოქალაქო საქმეები
ადმინისტრაციული საქმეები
სისხლის სამართლის საქმეები
ვადის დაცვით
ვადის დარღვევით


2017 წელს გადაწყვეტილებების მომზადების ვადის დაცვა
5000
4500
4000
3500
3000
2500
2000
1500
1000
500
0
4728
0
2013
1319
2352
0
სამოქალაქო საქმეები
ადმინისტრაციული საქმეები
სისხლის სამართლის საქმეები
ვადის დაცვით
ვადის დარღვევით



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილებების მომზადების ვადების დაცვა

IDFI დაინტერესდა, რამდენად იცავენ გადაწყვეტილებების მომზადების ვადებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ის მოსამართლეები, რომლებიც ამავდროულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები არიან.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის - გიორგი მიქაუტაძის მიერ 2015-2017 წლებში გადაწყვეტილებების მომზადების ვადების დაცვის/დარღვევის თაობაზე ინფორმაცია მოცემულია დიაგრამაზე:



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის - თამარ ონიანის მიერ 2015 წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით გადაწყვეტილებების მომზადების ვადების დაცვის/დარღვევის თაობაზე ინფორმაცია მოცემულია დიაგრამაზე:



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის - სერგო მეთოფიშვილის მიერ 2016 წლის მე-2 ნახევრიდან[17] 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით გადაწყვეტილებების მომზადების ვადების დაცვის თაობაზე ინფორმაცია მოცემულია დიაგრამაზე:



იუსტიცის უმაღლესი საბჭოდან მიღებული სტატისტიკური მონაცემები არ მოიცავს ინფორმაციას ვასილ მშვენიერაძის (თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე,

[17] სერგო მეთოფიშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნა 2016 წლის თებერვლიდან.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი) მიერ გადაწყვეტილებების მომზადების ვადების დაცვის თაობაზე.

დასკვნა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული შეფასების წესის ანალიზი ცხადყოფს, რომ ის არაეფექტურია როგორც ინდივიდუალური მოსამართლის საქმიანობის, ასევე მთლიანად სასამართლო სისტემის შეფასებისა და მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მიზნებისთვის. არსებითად მნიშვნელოვანია, განხორციელდეს მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემის ძირეული რეფორმა და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ინდივიდუალური მოსამართლის საქმიანობისა და მთლიანად სასამართლო სისტემის ხარისხის შეფასება.

საერთო სასამართლოების გადატვირთულობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს ისიც, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ აქვს დამტკიცებული თითოეულ სასამართლოში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის წესი და მეთოდოლოგია. მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრა მათი სპეციალიზაციისა და თითოეული სასამართლოს მიხედვით, არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა მიიღოს საბჭომ გადაწყვეტილება მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის დროს გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობის თაობაზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ 2015 წლიდან 2018 წლის 1-ლი ნახევრის ჩათვლით, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის ვადები 4 660 სამოქალაქო და 5601 ადმინისტრაციულ საქმეზე დაირღვა. შესაბამისად, ვადის დარღვევის მაჩვენებელი ადმინისტრაციული საქმეების შემთხვევაში უფრო მაღალია. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ამავე პერიოდში გადაწყვეტილებების მომზადების ვადები ძირითადად ადმინისტრაციულ საქმეებზე დაირღვა, კერძოდ, 4 123 საქმეზე.

მოწოდებული სტატისტიკა არ მოიცავს ინფორმაციას საქმეთა განხილვის გაჭიანურების ხანგრძლივობის შესახებ. შესაბამისად, ამ მონაცემებში შესაძლებელია იყოს საქმეები, რომელშიც ვადის დარღვევა რამდენიმე დღეს შეადგენდა, ასევე საქმეები, რომლის განხილვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაჭიანურდა. აქედან გამომდინარე, რთულია ვიმსჯელოთ, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს თუ არა ვადის გადაცილება იმგვარ დარღვევას, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფის რისკს წარმოშობს. გარდა ამისა, არსებული სტატისტიკით შეუძლებელია დადგინდეს, იკვეთება თუ არა მოსამართლის ბრალეულობა ვადის დარღვევის შემთხვევაში.

მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ფუქციაა. საბჭომ სრულყოფილად უნდა შეისწავლოს ვადების დაცვის/დარღვევის თაობაზე ინფორმაცია, მათ შორის, საქმეთა გაჭიანურების ხანგრძლივობა, ასევე სასამართლოების დატვირთულობისა და საქმეთა განხილვის მაჩვენებლები. ამ მონაცემების დამუშავების შედეგები პერიოდულად უნდა გამოქვეყნდეს იმისთვის, რომ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის თაობაზე.